ცვლილებები ძალაშია 2022 წლის 26 აპრილიდან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge **განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილებები:**

1. შეიცვალა „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-5 თავის სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„თავი V - ინტერნეტ ბანკინგი / მობაილ ბანკინგი“

2. შეიცვალა „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-20 მუხლის 25[1] პუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„25[1]. ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების რეგისტრაციისა და ძლიერი ავთენტიფიკაციის გარეშე, კლიენტს ეზღუდება სანდო მოწყობილობის პირველადი აქტივაციის შესაძლებლობა. სანდო მოწყობილობის აქტივაციის ვადა შეადგენს 6 თვეს. ამასთან, სანდო მოწყობილობით სარგებლობის სურვილის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, კლიენტის მიერ უნდა მოხდეს მისი TAN კოდის დადასტურებით განმეორებით აქტივაცია.“

3. „საბანკო მომსახურების პირობებს“ დაემატა შემდეგი შინაარსის 20[1] მუხლი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 20[1]

1. მობაილ ბანკინგი წარმოდგენს დისტანციური საბანკო მომსახურების არხს, რომლის გამოყენებით კლიენტს ეძლევა საშუალება მიიღოს დისტანციული საბანკო მომსახურება.
2. მობაილ ბანკინგით მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ, მის კუთვნილ მობილურ ტელეფონში ჩაწერილი პროგრამული აპლიკაციის გამოყენებით, ინტერნეტ ბანკინგის მომსახურებით სარგებლობას.
3. მობაილ ბანკინგით სარგებლობისთვის, კლიენტს უნდა ჰქონდეს გააქტიურებული ინტერნეტ ბანკინგი და გააჩნდეს სათანადო ოპერაციულ სისტემაზე (Android, IOS ან/და შემდგომში ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ოპერაციული სისტემა) მომუშავე მობილური ტელეფონი;
4. მობაილ ბაკინგის მომხმარებელი უფლებამოსილია განახორციელოს ე.წ. სწრაფი წვდომის აქტივაცია/დეაქტივაცია/ცვლილება (წვდომა განხორციელებული ცოდნის და/ან უნიკალურობის ელემენტის გამოყეებით). ამასთან, კლიენტი აცნობიერებს რისკს, რომ მობაილ ბანკით სარგებლობა დაკავშირებულია ელექტრონული სახით ინფორმაციის გაცვლასთან და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით ეკიდება ელექტრონულ სისტემაში განხორციელებულ ყველა ოპერაციასა თუ მოქმედებას/ტრანზაქციას.
5. მობაილ ბანკინგით მომსახურებაზე ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტის მე-20 მუხლით გათვალისწინებული პირობები.
6. ინტერნეტ ბანკინგით მომსახურების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს მობაილ ბანკინგით სარგებლობის შეწყვეტას.”